დადგენილება № 84/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2021-2022 სასწავლო წელს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე მიღების გამოცხდების შესახებ

დადგენილება № 84/2020
11 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 42),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს მიღება 2021-2022 სასწავლო წლისათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრული რაოდენობით (ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობის 5% აზერბაიჯანულენოვანთათვის, 5% სომხურენოვანთათვის, 1% აფხაზურენოვანთათვის, 1% ოსურენოვანთათვის)
2. დადგენილება გადაეგზავნოს სასწავლო დეპარტამენტს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე